პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი

№ 30 (13712) | შაბათი, 4 თებერვალი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

კომუნისტთა განაწესები — ცხოვრებაში!

ორ თვეზე მეტია ჩვენი რესპუბლიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციები კომუნისტთა ახალი განაწესებით მუშაობენ. განვლილმა პერიოდმა თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რა კეთილსასურველი გავლენა იქონიეს საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და კონფერენციებმა კომუნისტთა ინიციატივისა და აქტივობის განვითარებაზე. ჩვენი პარტიის საფუძვლის — პირველადი ორგანიზაციების როლის ამაღლებაზე, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დიდი, პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტაში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებსა და კონფერენციებზე გამოსულ კომუნისტთა უურადღების ცენტრში იდგა წარმოების, ideოლოგიური და ორგანიზატორული მუშაობის, კულტურისა და ყოფის მრავალი საკითხი. ისინი განსაკუთრებით ეხებოდნენ ხაზს ხუთწლიანი გეგმის შესრულების კონკრეტულ ამოცანებს, პარტიის ეკონომიური პოლიტიკის თანმიმდევრობით განხორციელების გზებს, დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების ახალი პრინციპების დანერგვის საკითხებს.

პირველადი პარტორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებისა და კონფერენციების გადაწყვეტილებები კომუნისტთა მოქმედების სახელმძღვანელო. ამ გადაწყვეტილებებში განზოგადებულია გამოცდილება, რაც პირველმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს საანგარიშო პერიოდში, გამომჟღავნებულია ნაკლოვანებანი, დასახულია შემდგომი მუშაობის გზები.

აწყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში პირველადს პარტორგანიზაციებში მეტ ყურადღებას იჩენენ კომუნისტთა წინადადებებისა და შეხსნებისადმი. საგულისხმოა ამ მხრივ ბაკალითად, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის პარტიული კომიტეტის გამოცდილება.

ამ სამიოდე თვის წინათ ელმავალსამშენებელო ქარხნის კომუნისტთა საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე დიდი ადგილი დაეთმო ახალი ელმავალის გამოსაშვებად მოსამზადებელი მუშაობის გაძლიერებას და ქარხანაში უახლესი ტექნიკის დანერგვის საჭიროებას. კომუნისტთა კრიტიკული გამოსვლები სათანადოდ აისახა კონფერენციის დადგენილებაში, რომლის განხორციელება პარტიული კომიტეტის ერთ-ერთი მთავარი ხაზრუნავი გახდა. ამ საქმეში მიზნიდულ იქნა ყველა კომუნისტი. ამას წინათ პარტიულმა კომიტეტმა შეამოწმა კომუნისტთა განაწესის შესრულება. შემოწმდა ახალი ღონისძიება, რომლის მიხედვითაც ყველა უბანს მიეცა კონკრეტული დავალება. ეს საკითხი საამქროებისა და განყოფილებების ღია პარტიულმა კრებებმაც განიხილეს. ყველა ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ საქმე შესამჩნევად წავიდა წინ.

პარტიული კომიტეტი ყოველი თვის გეგმის შედგენისას თვალისწინებს საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციის გადაწყვეტილებებს. კომუნისტთა წინადადებანი და შენიშვნები. იგი პერიოდულად ანარეკლებს ანგარიშს პარტიულ კრებას ამის შესახებ, რაც უკვე გაკეთდა.

საგულისხმოა ის მაჩვენებლები, რაც ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ მოიპოვა ხუთწლედისათვის ბრძოლაში. წარმოების განვითარებაში დიდ როლს ასრულებს პარტიული გავლენის გაძლიერება, კომუნისტთა აქტივობისა და თვითმოქმედების ზრდა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ ყოველთვის როდი სრულდება ის განაწესი, რაც კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციაზე მისცეს ქარხნის ადმინისტრაციასა და პარტორგანიზაციას. ქარხნის ყველა უბანზე ჯერ კიდევ მიღწეული არ არის რიგმული, გამართული მუშაობა. დავალებათა შესრულებაში ჩამორჩება ზოგიერთი ძირითადი საამქრო. დიდი ჩარხ-დანადგარების მოცდენები, ენერგორესურსების, შეკუმშული ჰაერისა და ორთქლის დანაკარგები. შარშან საწარმომ რამდენიმე ათეული ელმავალი ახალი ელმავალის გამოსაშვებად მოსამზადებელი მუშაობის გაძლიერებას და ქარხანაში უახლესი ტექნიკის დანერგვას ითხოვს. ეს ამოცანა ადგილზე რიგდი დგას. იგი ახალ საკითხებს აყენებს ხელმძღვანელობის, მუშაობის პირობები. და როცა ვაწყობთ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ეს ფაქტი აუცილებელ ნაბიჯად უნდა გავითვალისწინოთ. პარტიულმა ორგანომ ხელიდან არ უნდა გაუშვას შესაძლებლობა მოახსენოს კომუნისტებს თავიანთ მუშაობის შესახებ, გაამახვილოს მათი ყურადღება იმ ახალი საკითხებისადმი, რომლებიც ცხოვრებამ უკარნახა. ამ მიზნით კარგ როლს ასრულებს პარტიულ ხელმძღვანელთა ანგარიშგების პრაქტიკა იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება კომუნისტთა მიერ გამოთქმული წინადადებანი.

პარტიული კომიტეტების პირველი რიგის ამოცანაა გააძლიერონ ხელმძღვანელობა პირველადი ორგანიზაციებისადმი. სწორად იქცევიან ის რაიონული და საქალაქო კომიტეტები, რომლებმაც დასახეს და ახორციელებენ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების სწავლების, აღზრდისა და პრაქტიკული წრთობის ფართო ღონისძიებებს. მიხაბაძია ამ მხრივ. მაგალითად, პარტიის ცხაკაიას რაიკომის მუშაობა. იგი აქტივისტების აღზრდისათვის ნაყოფიერად იყენებს დარწმუნებისა და სწავლების ყველა ფორმას: ადამიანებთან მასობრივ და ინდივიდუალურ მუშაობას, ლექციებს, თეორიულ კონფერენციებს, კითხვა-პასუხის საღამოებს, თათბირ-სემინარებს, წრეებს, სკოლებს და სხვ. აქ კადრების სწავლებისა და აღზრდის მნიშვნელოვან საშუალებას წარმადგენს ადგილებზე პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა.

კომუნისტთა განაწესების წარმატებით შესრულებაზე ბევრად არის დამოკიდებული საიუბილეო წლის საწარმოო პროგრამის შესრულება, მოელი პარტიული მუშაობის ბედი, მშრომელთა აღზრდა მაღალი პრინციპულობის სულისკვეთებით. ამიტომ პარტიული კომიტეტები ყოველდღიურად უნდა ეხმარებოდნენ პირველად ორგანიზაციებს შეასრულონ ეს განაწესები. ამაშია თვითეული პარტიული ორგანიზაციის ხიცოცხლისუნარიანობისა და ბრძოლისუნარიანობის საწინდარი.

საიუბილეო ვახშზე

შესანიშნავად შრომობს ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის კოლექტივი. მან კარგი სტარტი აიღო ხუთწლედის მეორე წელსაც. ჭიათურელი გამამდიდრებლები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დადგნენ და სისტემატურად ზრდიან პროდუქციის გამოშვებას, ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას.

კოლექტივის დიდი სიყვარულით სარგებლობს დამხარისხებელი მანქანის მემანქანე ც. მწყერაშვილი. იგი სამუშაო საათების მაქსიმალურად გამოყენებისათვის გაშლილი შეჯიბრების ინიციატორია, ამავე დროს საწარმოს კომკავშირული კომიტეტის მდივანია.

ფაბრიკის კომკავშირელებმა ც. მწყერაშვილის მეთაურობით გადაწყვიტეს კვირაში ორ დღეს უსასყიდლოდ დაეხმარონ ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლებს.

წინასაარჩევნო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ათობით მდნობელთა ბრიგადა. მათ შორის არის კომუნისტი შრომის ბრიგადა, რომელსაც სახელგანთქმული მდნობელი კ. ცქიფურიშვილი ხელმძღვანელობს. მისი ბრიგადა ყოველდღიურად ნახევარ ტონაზე მეტ ზეგეგმითს ლითონს აწარმოებს.

სურათებზე: ზემოთ — ციალა მწყერაშვილი; ქვემოთ — კ. ცქიფურიშვილი.

ფოტო ა. მაჭავარიანისა (საქდესის ფოტოქრონიკა) და რ. კიკნაველიძისა.

მხოლოდ პირველი ხარისხისა

ჟუთასი. (საკ. კორ.). ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც შარშან 110 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა, ხუთწლედის მეორე წელს უფრო მაღალხარისხოვანად მუშაობს. აქ 26 იანვრისათვის შეასრულეს თვის დავალება, გეგმის გადამეტებით 18 ათასი მანეთის ავეჯი და 4.000 კვადრატული მეტრი პარკეტი გამოუშვეს. ფაბრიკამ წელს სამი ახალი სახეობის ავეჯის წარმოება აითვისა. დაშზადებული ავეჯი მხოლოდ პირველი ხარისხისა.

ქუთაისელ მეავეჯეთა გადაწყვეტილებაა თრმეტი თვის დავალება დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავისათვის შეასრულონ.

ეთეროვანი ზეთების სიუხვისათვის

თელავი. (სკ. კორ.). თელავის ეთერზეთების ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის მიდამოს გაზაფხულში ეთერზეთოვანი კულტურების სურნელი ატკბობს. ყაბანლიყის ბარდის პლანტაციების ფართობი, 70 ჰექტარს აღემატება. შარშან აქ 1.280 ცენტნერი ვარდი მოკრიფეს. არც ბერანისა და რეჰანის მწვანე მასა მოვიდა მცირე. ქარხანა-საბჭოთა მეურნეობამ სამშობლოს 60 ათასი მანეთი მოგება მისცა.

ეს იყო შარშან. ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ნ. ჩხოტუა), კოლექტივი საუბილეო წელს უფრო მეტი მონდომებით მუშაობს. ზვიადი ათასი ცენტნერი ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეული — სამშობლოს! ასეთია მისი ვალდებულება, რომელიც საქმედ იქცეა. „მაჩხატურში“ თუ სხვაგან ვარდის პლანტაციები სანამუშოდ დაამუშავეს. მოხნეს, ძირები გამოუბარეს და ახალი სასუქების შეტანაზე ზრუნავენ. ბერანისა და რეჰანის პლანტაციებისათვის ნიადაგი საგულდაგულოდ მოამზადეს.

ივანე ლეშკასოვის ბრიგადა პირველი აღგლესათვის იბრძვის. მუშები მ. იოსელიანი, მ. ღიორაშვილი, ა. ტვირიაშვილი, ი. შავერდაშვილი თუ სხვები დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

აღრეული დოლი

მიმზადებული ხვდებიან აღრეულ დოლს ნოთელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის მეცხვარეები. პირუტყვი მომარაგებულია ყუათიანი საკვებით, უზრუნველყოფილია თბილი ბინებით.

იანვრიდან აღრეული დოლი დაიწყო ზოგიერთ ბრიგადაში. მათ შაკვე ასობით ბატკანი ჰყავთ. აღრეულ დოლში პირველი ჩადგა ილო მამულაშვილის ფარა, ეს ვაჟკაცი 15 წელია მეცხვარეობას ეწევა, მისმა ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 100 პროცენტით შეინარჩუნოს ნამატი, ახალი წარმატებით შეხვდეს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს.

უმაღლესი ჯილდო

წარმატებებისათვის, რომლებიც ელადმირის ორდენის მშრომელებმა მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ელადმირის ორდენი დაჯილდოვა ლენინის ორდენით.

წარმატებებისათვის, რომლებიც ივანოვოს ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ივანოვოს ოლქი დაჯილდოვა ლენინის ორდენით. (საკდესი).

დიპლომები მეცნიერებს

მოსკოვი, 2 თებერვალი. (საკდესის კორ.). დღეს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების XXIV სესიაზე სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარმა სწავლულმა მდივანმა ვ. ი. სტრუჩკოვმა საპატიო დიპლომები გადასცა მეცნიერებს, რომელთა ნაშრომებს 1966 წელს მიენიჭა აკადემიის სახელობითი პრემიები.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ნ. გ. კოლოსოვს და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ა. ა. მილოხინს მიენიჭათ ვ. პ. ვორობიოვის სახელობის პრემია ვეგეტატიური ნერვული სისტემის შესწავლის დარგში ნაშრომისათვის. ბ. ი. ლავრენტიევის სახელობის პრემია სასუნთქი ორგანოების ნერვული სისტემის გამოკვლევისათვის მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ვ. ფ. ლაშკოვს. პროფესორ ა. ა. ავადჟანსა და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ა. ფ. ბიკოვსკის მიენიჭათ დ. ი. ივანოვსკის სახელობის პრემია ადამიანისა და ცხოველის ვირუსების ანატომიისა და ონტოგენეზისის შესწავლის დარგში ნაშრომთა სერიისათვის. 1967 წლის 30 იანვარს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ა. ი. ბარიკოსოვის სახელობის პრემია მიანიჭა ჩვენი ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს ი. ვ. დავიდოვსკის მეცნიერული ნაშრომისათვის „გერონტოლოგია“.

კომპოზიტორს მივენიჭა საპატიო წოდება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 3 თებერვლს ბრძანებულებით საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის კომპოზიტორ ვასილი პავლეს-ძე სოლოვიოვ-სედოხს (სოლოვიოვს) მიენიჭა სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. (საკდესი).

საქართველო ემზადება არჩევნებისათვის

მეფვალურგთა პოლიფგანათლების კაბინეტში

კლუბები იწვევენ ამომარჩევლებს

ყაყლაბუნი. (საკ. კორ.). სოფლის მშრომელთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს მაღლაკის ამომრჩეველთა კლუბი, რომელიც სასოფლო კულტურის სახლის ბაზაზე შეიქმნა და ოთხ საარჩევნო უბანს ემსახურება. კლუბმა (გამგე გ. ჟორჟოლიანი) თავის გარშემო მრავალრიცხოვანი აქტივი შემოიკრიბა და მიზანსწრაფული მუშაობა გააჩაღა.

აქ მოეწყო არჩევნებისადმი მიძღვნილი ლიტერატურის ჯამოფენა, მოწინავეთა ფოტოსტენდი, შემოღებულია მორიგეობა. პოლიტორგანიზატორები და პროპაგანდისტები დროულად აძლევენ პასუხს ამომრჩევლებს მათთვის საინტერესო საკითხებზე.

მთავარი მაინც ის არის, რომ ამომრჩეველთა კლუბის საქმიანობა გასცდა შენობის კედლებს. აქ შეიქმნა მხატვრული თვითმოქმედების ბრიგადა, რომელიც უშუალოდ სოფლის უბნებში და ფერმებში აწყობს კონცერტებსა და საუბრებს. განსაკუთრებით აქტიურობენ პოლიტორგანიზატორები — საშუალო სკოლის მასწავლებელი თ. შარვაშიძე, მ. ღლენტიაძე, ვეტექიმი ზ. ღვინჯილია.

თბილისის ორჯონიკიძის № 6 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა კლუბში 33 პოლიტორგანიზატორია გაერთიანებული. მათ ხელმძღვანელობს ამ სკოლის პარტორგანიზაციის მდივანი ქუჩუნა უძულაშვილი. აქ ყველაფერს აკეთებენ არჩევნებიდ ორგანიზებულად შეხვედრისათვის. სურათზე: (მარჯვნივ) ამომრჩეველთა კლუბის გამგე ქ. უძულაშვილი, პოლიტორგანიზატორები ა. სხირტლაძე, ი. კეკალიშვილი და მ. კანკავა ამზადებენ კედლის გაზეთ „ამომრჩეველთა ხმის“ ახალ ნომერს. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ვ. პ. მჟავანაძემ მიიღო ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეთა ჩემპიონატის მონაწილეები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ 3 თებერვალს მიიღო ჩვენი ქვეყნის მოჭადრაკეთა XXXIV ჩემპიონატის მონაწილენი და ესაუბრა მათ.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონი გროსმაისტერი ლ. შტეინი, პირველობის პრიზიორები — გროსმაისტერები ე. ბელერი, ვ. კორჩნოი, მ. ტაიმანოვი, ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, სრულიად საკავშირო ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ლ. აბრამოვი, გროსმაისტერი ს. ფლორი.

დარბაზობას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დ. ბ. სტურუა, საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ბ. ვ. სიხარულიძე, საქართველოს სსრ სახელმწიფო მწვრთნელი ჭადრაკში ბ. ი. ბაჩელიძე.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ ტურნირის მონაწილეებს მიულოცა დიდი შემოქმედებითი მიღწევები. მან გამოთქვა რწმენა, რომ პირველობა, რომელიც თბილისში მოეწყო სრულიად საკავშირო ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით, უეჭველად შეუწყობს ხელს ქართველ მოჭადრაკეთა ოსტატობის შემდგომ ზრდას, იქმნება ამ სახეობის სპორტის მასობრივი განვითარების, კლასის ამაღლების ყველა პირობა. თბილისში შენდება მოჭადრაკეთა კლუბი, სადაც შესაძლებელი იქნება დიდი მასშტაბის ტურნირების მოწყობა.

ვ. პ. მჟავანაძემ სამახსოვრო საჩუქრები უძღვნა მოჭადრაკეებს. (საქდესი).

ზრუნვა მომავალი ცვლისათვის

პიონერული წლები. როგორ მოვიქცეთ, რომ ეს წლები ჩვენი ქვეყნის მილიონობით ნორჩი მოქალაქის ბიოგრაფიაში შევიდეს როგორც იდეური წრთობის, სულიერი ჩამოყალიბების წლები? სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის მონაწილენი უხიარებენ რა ერთმანეთს აზრს ამ პრობლემაზე, 3 თებერვალს კვლავ განიხილავდნენ სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ს. პ. პავლოვის მოხსენებას „გავუმჯობესოთ სრულიად საკავშირო ალკკ საქმიანობა ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო პიონერული ორგანიზაციისადმი ხელმძღვანელობაში“.

მოხსენების გამო გაჩაღებულ კამათში გამოვიდნენ კომკავშირის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. დ. პოროიკოვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსის მოადგილე კომკავშირული მუშაობის დარგში ო. ვ. ზინჩენკო, „გაზეთ „პიონერსკაია პრავდის“ მთავარი რედაქტორი ნ. მ. ჩერნოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ი. ა. ნოვიკოვი და სხვები. მათ დაგმეს მეცდარი ტენდენცია, რომ პიონერულ მუშაობას რატომღაც სთვლიან გასართობ ღონისძიებებად, ილაპარაკეს პიონერთა ცხოვრებაში სამხედრო რომანტიკის შეტანის გზებზე, საბავშვო ჟურნალისტთა პასუხისმგებლობაზე, აღძრეს ნორჩი თაობის ფიზიკური აღზრდის პრობლემები.

სსრ კავშირის ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმის

✦

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახლანდელი პლენუმის მნიშვნელობა, თქვა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ლ. ს. სობოლევმა. ჩვენს მომავალ საზოგადოებას ხომ ისინი შეადგენენ, ვინც ახლა სოკეთესო, მაგრამ ძნელ, გარდატეხას ასაკშია, რომელსაც ყრმობას ვუწოდებთ. ჩვენ ყველას, მწერლებს კვაქვს ერთი ოცნება — შეექმნათ ბავშვების საყვარელი გმირის ისეთი სახე, რომელიც მოინადირებდა მათ გულს, გონებას, სანიმუშო და მიესაბაძი იქნებოდა მათთვის.

პლენუმის დილის სხდომაზე გამოსულთა შორის იყო გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი ტ. ა. გაიდარი. ბავშვის აღზრდა, აღინიშნა მან, მისი ხასიათის ჩამოყალიბებაა. ჩვენი ბავშვები უნდა აღიზარდონ ცხოვრების რეალურ ფაქტებზე, სიძნელეთა რეალური დაძლევით. ჩვენი ქვეყნის მომავალ ბატონ-პატრონებს უნდა ვასწავლოთ ბატონ-პატრონობაც, დაეუსახოთ კონკრეტული ამოცანები, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა ბუნების დაცვა.

კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა.

პლენუმმა განიხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება. ლენინური კომკავშირის მოგალეობაა, ნათქვამია დადგენილებაში, ყოველი ღონე იხმაროს, რათა პიონერული ორგანიზაცია სავსებით ასრულებდეს თავის მთავარ დანიშნულებას — იყოს პირველი საფეხური იმისა, რომ საბჭოთა ბავშვებს ჩაეუნერგოთ პარტიის დიდი რევოლუციური საქმის უანგარო ერთგულება, ჩამოვაყალიბოთ მოქალაქეს, პატრიოტის, ხალხის ინტერესებისათვის ის მამაცი და მებრძოლი მაღალი ზნეობრივი თვისებები.

შემდეგ პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს დღის წესრიგის მესამე საკითხი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მზადებაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მონაწილეობის ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პასტუხოვმა.

პლენუმმა დაამტკიცა წამოყენებული ღონისძიებანი.

სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის II პლენუმმა განიხილა ავრეთვე საორგანიზაციო საკითხები, რის შემდეგაც დაამთავრა თავისი მუშაობა. (საკდესის კორ.).

ფიზიკოს-ასტრონომთა თათბირზე

2 თებერვალს ხარკოვში მუშაობა დაიწყო ფიზიკოს-ასტრონომთა სრულიად საკავშირო თათბირმა, რომელიც ცხრა დღეს გრძელდებოდა. თათბირი მიეძღვნა ატომბირთვის სტრუქტურის კვლევის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

თათბირის მონაწილეებმა — 500-მდე სპეციალისტმა ფიზიკოსმა და ბევრმა საზღვარგარეთელმა სტუმარმა — მოიხმინეს და განიხილეს მოხსენებანი და სამეცნიერო ცნობები ატომბირთვის ამ ბოლო ხნის თეორიული და ექსპერიმენტული კვლევის შედეგებზე.



მისასალმებელი დეპეშა

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, ა. ნ. კოსიგინმა რუმინეთის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ნიკოლაე ჩაუშესკუს, კივუ სტოიკას, იონ გეორგე მაუერს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მათ და მეძმე რუმინელ ხალხს გულითადად ულოცავენ და ყოველივე საუკეთესოს უსურვებენ საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების დადების 19 წლისთავთან დაკავშირებით. დეპეშაში აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება საბჭოთა და რუმინელ ხალხებს შორის ტაიკეცე მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის განვითარებისა და განმტკიცების ხაიმედო ბაზაა, წარმატებით ემსახურება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობას ორივე ქვეყანაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთობისა და შეკავშირების განმტკიცებას. (საკდესი).

სამართლიანი გაფრთხილება

ბერლინი, 3 თებერვალი. (საკდესი). „კიზინგერ ერშტრაუსის მთავრობის პოლიტიკური აქციები თვალსაჩინოდ ადასტურებენ, რომ სრულიად სამართლიანია სსრ კავშირის მთავრობის უკანასკნელი განცხადება იმ საფრთხის შესახებ, რომელიც დასავლეთ გერმანიიდან მოდის“, — ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბრანდტმა ბუნდესტაგში გააცხადა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ხელს არ მოაწერს ატომური იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, თუ მის პირობებს არ შეასრულებენო.

დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოზიცია, რომელიც მომართულია მშვიდობისა და ევროპის უშიშროების წინააღმდეგ, ხაზგასმულია დასასრულ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ჯანცხადებაში, კვლავ ადასტურებს, რომ საჭიროა გავაკეტილეთ და გავაერთიანოთ ხალხთა და სახელმწიფოთა მეცადინეობა რათა დასავლეთგერმანელმა მილიტარისტებმა ხელში არ იგდონ რაიმე ფორმით ატომური იარაღი.

მოკლედ

◆ ჯაკარტა, 3 თებერვალი. (საკდესი). 5 იანვარს ღამით სამხრეთვიეტნამელი პატრიოტები თავს დაესხნენ ამერიკის პლეიკუს ავიაბაზას და მწყობრიდან გამოიყვანეს 92 ამერიკული თვითმფრინავი და ვერტმფრინავი. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სააგენტოს დამატებით მონაცემებს.

◆ ზანზიბარი, 3 თებერვალი. (საკდესი). კორეაში დაბავების სამხედრო კომისიის მდივანთა ოცდაერთეულ 329-ე სხდომაზე კორეის მხარის მდივანმა ოფროსმა პოლკოვნიკმა ხან დიუ გეიმა პროტესტი წარუდგინა ამერიკის მხარეს იმის გამო, რომ გრძელდება პროვოკაციები დემილიტარიზებული ზონის რაიონში.

იაპონიის მთავრობის გადაწყვეტილება

ტოკიო, 3 თებერვალი. (საკდესი). იაპონიის მთავრობამ დღეს გადაწყვიტა 15 თებერვალს მოიწვიოს პარლამენტის სპეციალური სესია.

იაპონიის პარლამენტის ახალმა შემადგენლობამ, რომელიც 29 იანვარს საყოველთაო არჩევნების დროს აირჩიეს ქვედა პალატაში, უნდა აირჩიოს პრემიერ-მინისტრი.

პრემიერ-მინისტრს ქვედა პალატაში ირჩევენ ხმის უმრავლესობით. არჩევნების შედეგად ძალთა განაწილება ქვედა პალატაში ასეთია: ხელისუფლების სადავეში მყოფ ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას აქვს 285 მანდატი (დამოუკიდებელთა ჩათვლით, რომლებმაც განცხადება შეიტანეს ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიაში შესვლის შესახებ), სოციალისტურ პარტიას — 141, დემოკრატიული სოციალიზმის პარტიას — 30, კომეტოს პარტიას — 25 და იაპონიის კომუნისტურ პარტიას — 5 მანდატი.

მთაში ქალაქი იზრდება

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ მაღალი მთებიდან მოწანწკარებს არაგვის სათავე. იგი პატარაა, მაგრამ მარტო ერთი სათავე როდი აქვს არაგვს, მთის ანკარა წყაროები და ნაკადულები თანდათანობით ერთ მოზრდილ მდინარედ იქცევიან, რომლის შეჩერება არც ისე ადვილია. განსაკუთრებით საშიშია გაზაფხულზე, როცა მთები ერთბაშად დაყრიან თეთრ ნაბდებს და პატარა ხეობების უწყანარი ღელეებიც ღვარცოფად იქცევიან, შეერთებული წყლები ზათქით და ხმაურით წავლენ ბარისაკენ და ზოგჯერ ნაპირებსაც გადალახავენ, წალეკავენ ნათესებს, წაშლიან გზებსა და ბილიკებს. უარესიც შეუძლიათ, მაგრამ ადამიანი ებრძვის სტიქიონს, აშენებს ჯებირებს, ამაგრებს მდინარის ნაპირებს.

ასე მოიქცნენ ამ გაზაფხულზე ფასანაურის სადაბო საბჭოს დეპუტატები, რომელთა თანამონაწილეობით და შრომითი მონაწილეობით საზოგადოებრივ საწყისებზე გაკეთდა წყალდიდობის საწინააღმდეგო ჯებირები. ამ საქმეში მრავალმა ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა, მიუხედავად სიძნელეებისა, მუშაობდნენ დიდი ხალისით, გაიჭირვეს, ოფლი დაღვარეს, სამაგიეროდ არაგვი მაგრად შებოჭეს ქვის არტახებით. გაშმაგებულმა მდინარემ ვერ შეძლო ჯებირების წალეკვა.

აი რას ნიშნავს ადამიანთა შეერთებული ძალა!

არაგვის დავაჟკაცების ამბავს რომ ვიგონებ, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება მახსენდება. ვინ მოთვლის რამდენი ადამიანის ენერგია შეერთებული ჩვენი დიადი ქვეყნის დიად საქმეებში, სახალხო ინიციატივის ღრმა მდინარე ათასი და ათი ათასი ნაკადულისაგან შედგება, რომლის შეჩერება არავის და არაფერს არ შეუძლია.

ვის არ მოხიბლავს დაბა ფასანაური, რომელიც მარგალიტის თვალივით ჩამჯდარა მთებს შუა, უღრუბლო ცა და მწვანით მოსილი ქოხორა ტყეები ყოველთვის ალერსით დაჰყურებენ ამ საოცნებო მხარეს. გიაზარდა და დამშვენდა ფასანაური უკანასკნელ წლებში. მარტო სასტუმროსა და საშუალო სკოლის სამსართულიანი, თანამედროვე სტილის შენობები რადა ღირს. თვალს ახარებს რესტორანის წარმტაცი ბაღი და საერთოდ ბაღები, არაგვის ნაპირზე კოხტად რომ ჩამწკრივებულან. დიდებულია გათენება მთებში. დიდებულია აქაური წყალი და ჰაერი...

ბევრი გაკეთდა და კეთდება დაბაში, და ყოველივე ამაში თავიანთი წვლილი შეიქმნა სადაბო საბჭოს დეპუტატებს, აქტივისა და ამომრჩევლებს.

დაბაში ორი მაღაზიაა, ერთი საქართველოს სამხედრო გზის ის მონაკვეთია, რომელიც ორი ქუჩის სახით დაბაში გადის. ამ ქუჩებში თითქმის არასროს არ წყდება ავტომანქანებისა და სხვა ტრანსპორტის ხმაური. შარშან ეს ქუჩები მოასფალტდა, ლამაზი ქვაფენილი გაუკეთდა. ქუჩის ერთ მხარეს ბეტონის არხი გაჭრეს, რომელშიც ამოვიდა წყალი არ არის, მაგრამ წელს იქნება. სადაბო საბჭოს აღმასკომის თავჯდომარემ იოსებ მირზიაშვილმა დაბეჯითებით მითხრა, რომ არხში ჩაირთვება მდინარე ჩაბარუხის წყალი, რომელიც აქედან კილომეტრნახევრით არის დაშორებული, მთის მდინარის ანკარა ტალღები სამღერით შემოვა ფასანაურის ქუჩებში და თავის წვლილს შეიტანს სანიმუშო სისუფთავის დამკვიდრებაში.

ᲛᲗᲐᲨᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

დაბაში ცისფერი ალი გიზგიზებს. ზოგა დრო და ბუნებრივი გაზის სიკეთით ისარგებლებენ ყველა ბინაში, ყველა დაწესებულებაში.

არაგვის გასწვრივ მაღალ მთებზე თანდათანობით მცირდება „არწივის ბუდეები". მოსახლეობა მთიდან ბარში, მდინარის ნაპირებზე ჩამოდის, შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, იბადება ახალი უბნები. გზის გასწვრივ და ახალ დასახლებებში დაირგო ათასობით მწვანე ნარგავი, სამი წლის წინათ დაბას და ახლომახლო სოფლებს ძლივს ანათებდა ჩაბარუხის პატარა ჰესი. შემდეგ მთაშიც შემოსბიჯეს მაღალი ძაბვის ელეოსნის ანძებმა. ახლა საბჭოში შემავალი ბევრი სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია.

ყოველწლიურად ათასობით ტურისტი ეწევა ხოლმე ფასანაურს. მოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან. ფასანაურის ტურისტთა ბაზა კარგ მასპინძლობას უწევს სასურველ სტუმრებს. ამჟამად ფასანაურში შენდება ტურისტთა ახალი ბაზა, რომელიც ოთხას კაცს დიიტევს.

ფასანაური კურორტი უნდა გახდეს. ქართველმა ჰიდროგეოლოგებმა აქ აღმოაჩინეს მინერალური წყლები, რომლებიც თავისი ქიმიური შემადგენელობით ესენტუკი-17-ის ანალოგიურია.

დაბის მოსახლეობა კარგად იცნობს და პატივს სცემს საშუალო სკოლის პედაგოგს, საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებულ მასწავლებელს ნინო ჭიჭინაძეს, რომელიც ყოველთვის პირნათლად ასრულებს თავის საპატიო მოვალეობას ამომრჩეველთა წინაშე. კარგად იცის თვითეული მათგანის ჭირი და ლხინი არა ზოგადად, არამედ ახლოს, კონკრეტულად. კონკრეტული და მიზანსწრაფული მისი საქმიანობაც.

ამას წინათ ამომრჩევლებმა, რომლებიც მდინარე არაგვს გაღმა ცხოვრობენ, დეპუტატს სთხოვეს აღმასკომის წინაშე დაეყენებინა საკითხი გზის განმანაწილებელი პუნქტამდე გზის გაყვანის შესახებ. ნინოს არ დაუყოვნებია, მალე აღმასკომის დასტურიც მიიღო, და აქტივის დახმარებით გაყვანილი იქნა მოსახლეობისათვის საჭირო გზა.

დეპუტატების ქეთევან კასრაძის, ნინო ჭიჭინაძისა და ნინო ჩოხელის თაოსნობით მოეწყო შაბათობა დაბაში სანიმუშო სანიტარული წესრიგისათვის.

დიდი ენერგია დახარჯეს დეპუტატებმა გიორგი აფცაურაშვილი და ვლადიმერ წიკლაურმა იმ ხიდის კაპიტალური შეკეთებისათვის, რომელითაც განცურ-ცხედიეთის მოსახლეობა სარგებლობს. ამ საქმისათვის საბჭოს სახსრები არ ჰქონდა, მაგრამ აქტივისტების დახმარებით ხალხის ძალამ თავისი გაიტანა, ხიდზე მალე მოძრაობა დაიწყო, კოლექტიური შრომით გაკეთდა აგრეთვე ოთხი საცალფეხო ხიდი.

...ცხვედიეთის დაწყებითი სკოლის შენობას ჭარიშხალმა სახურავი ახადა. საჭირო გახდა სასწრაფო ზომების მიღება. დატრიალდნენ განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ნორა მუხიგულაშვილი და კომისიის დანარჩენი წევრები და მიზანსაც მალე მიაღწიეს, სკოლას ნორმალური მუშაობის პირობები შეუქმნეს.

ხანდრო რვაწლიან სკოლას საკლასო ოთახები არა ჰყოფნის, ამაგე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხეილ ტარიელაშვილს ბევრჯერ უფიქრია, რით დახმარებოდა მასწავლებლებს. ბოლოს ეს ბინა ჩაბარდა ბავშვებს. ეს ბინა ერთ-ერთ ფოთა ბაღრესიული გეგმების განხორციელების შესაძლებლობანი შეზღუდულია. მათი მმართველი წრეები არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდნენ კატასტროფულ შედეგებს, რასაც ძველ საქმაროს უქადის მსოფლიო ხანრის დანაღება. მსოფლიო სოციალისტური თანაშემგობრობის არსებობამ და განვითარებამ, კაპიტალისტური წყობილების ლაკეიდაციამ ქვეყნების დიდ ჯგუფში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა ფართოდ გაშლამ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში და ძველი კოლონიური იმპერიების ნგრევამ საკუთარ ახალი ეთიკურება შექმნა დედამიწაზე.

დიდ რევოლუციურ ცვლილებებს, მსოფლიოში წარმომობილ ახალ გარეკობებს, რა თქმა უნდა, ვერც საერთაშორისო იმპერიალიზმის სტრატეგები უგულებელყოფენ. ამისადმი მიმწოდება, რომ შეაფერხონ, ხოლო შემდეგ დაამარცხონ რევოლუციური და განმათავისუფლებელი მოძრაობა, გახდა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეების თავარი დამახასიათებელი ნიშანი, თანამედროვე ბურჟუაზიის იდეოლოგიისა და პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორი.

იმპერიალისტებმა თავიანთ მთავარ იდეურ-პოლიტიკურ იარაღად გაიხადეს ანტიკომუნიზმი, რომლის ძირითადი შინაარსია სოციალისტური წყობილებისათვის ცილის დაწამება, კომუნისტური პარტიების პოლიტიკისა და მიზნების, მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების ფალსიფიკაცია. ანტიკომუნიზმის ყალბი ლოზუნგებით იმპერიალისტური რეაქცია სდევნის ყოველივე მოწინავეს და რევოლუციურს, ცდილობს გათიშოს მშრომელთა რიგები, მოადგოს ეროვნულ-ეროვნული ბრძოლისადმი.

სიცრუისა და ცილისწამების მღვრიე ნაკადი კომუნისტურ პარტიებს თავს დაატყდა, შეიძენა ითქვას, მათი შექმნის პირველივე დღიდან. ეს ბინძური ნაკადი მით უფრო მატულობდა, რაც უფრო მრავლდებოდა კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წარმატებანი. როცა მუშებზე ბურჟუაზიის იდეური გავლენა ეცემა, კლებულობს, სუსტდება, ბურჟუაზია, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ყველგან და ყოველთვის მიმართავდა და მიმართავს ამ ერთადერეს სიცრუეს და ცილისწამებას. ანტიკომუნისტური პროპაგანდის გაშლასთან ერთად იცვლებოდა მისი შინაარსიც. მარქსისტული მოძღვრების გაყალბებას ზედ ერთოდა სიცრუე და ცილისწამება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის მიმართ.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემამ თავისი სამეურნეო წარმატებებით, ეკონომიური განვითარების სწრაფი ტემპებით, მასების მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებითა და კულტურული დონის ამაღლებით, თავისი თანმიმდევრული ბრძოლით მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისათვის ასეულ მილიონობით ადამიანის ნდობა და მადლიერება მოიპოვა. იმპერიალისტებისათვის კი, რომლებიც ახალ ომებზე ოცნებობენ, საჭიროა თუნდაც დროებით დაარწმუნონ მასები, რომ ეს ომი გარდუვალია, და გაიყოლონ ისინი. ამიტომ ანტიკომუნიზმის პროპაგანდაში მთავარი ადგილი უჭირავს სისტემატურ ცილისწამებას სოციალიზმის ქვეყნების საწინააღმდეგოდ.

თანამედროვე ანტიკომუნიზმის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია ის, რომ იგი მამარცხალია სსრ კავშირის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ბურჟუაზიის იდეოლოგები ყველაზე ადვილად ცდილობენ ჩირქი მოსცხონ საბჭოთა კავშირის მიერ გასავლილ გზას. ეს, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ ისინი ცდილობენ, თავიანთ პოზიციებს არა თმობენ. კომუნიზმის მტრებს ეხმარება გამთიშველი საქმიანობა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რიგებში. მყოფი ოპორტუნისტებისა, ორმაგი ბოროტებანი უღალატენ პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს.

დასავლეთის წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეები და პროპაგანდისტები ცდილობენ უარყონ ისტორიული მიღწევები, რაც საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს აქვთ ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის განვითარებაში. მაგრამ ამავე დროს ხომ სწორედ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც ბურჟუაზიული მჭლამფელები „არაეფექტიან ეკონომიურ სისტემას" უწოდებენ, 50 წლის განმავლობაში გადაკეკი ჩვენი ჩამორჩენილი, დატაკი ქვეყანა მძლავრ და უმდიდრეს სახელმწიფოდ, რომელიც წარმატებით ეჯიბრება კაპიტალიზმის პირველ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს. შორს აღარ არის ის დრო, როცა საბჭოთა კავშირი მიაღწევს ყველაზე ძაღლ საარსებო დონეს მსოფლიოში.

მარქსიზმ-ლენინიზმის მტრები ამტკიცებენ, კომუნიზმი მთელ თავის იმედს ძალადობაზე ამყარებს, როდგას დარწმუნდნენ საშუალებანი არა აქვსო. ამიტომ კომუნისტები მუდამ ემხრობიან შეიარაღებულ ბრძოლას და მშვიდობიან საშუალებებს, უარყოფენო. ამ ცილისწამებელთა აზრით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციების გამარჯვება კანონზომიერი ბრძოლის შედეგი კი არ იყო, არამედ „ბედმა გაუღიმა საბჭოთა ტანკებს" და ა. შ.

ძალადობას, ამბობდა ლენინი, ჩვენ ვიყენებთ როგორც დასკვნის ზომას იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ძალით დაამბოს რევოლუცია. შემდეგ კი ჩვენ ეცდილობთ ვიმოქმედოთ სამეურნეო მშენებლობის მაგალითით.

დოგმატიკოსთა და სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტთა მომბაზრებელი ყვირილი ძალადობაზე, როგორც ბრძოლის ერთადერთ მეთოდზე, ომზე, მშვიდობიანი თანაარსებობის საწინააღმდეგო მოსაზრებებზე სერიოზულ ზიანს აყენებს კომუნისტურ პარტიებს, ხელს უშლის მათ მტკიცე მშვიდობისათვის ბრძოლაში. გასაკვირველი როდია, რომ მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის მტრები თავიანთ უარს იმაზე, რომ განხორციელდეს საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა პროგრამა, ხმირად ასაბუთებენ სოციალიზმის ზოგიერთი ქვეყნის სამაკვირ მდგომი სხვადასხვა ჯურის ავანტურისტთა პოზიციით.

თანამედროვე ანტიკომუნიზმის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი ცილის სწამებს მარქსიზმ-ლენინიზმის დამოკიდებულებას პიროვნებისადმი. რეაქციონერები დაუსრულებლად გაიძახიან, რომ კომუნიზმი თითქოს ქმნის გარდუვალ კონფლიქტს პიროვნებასა და საზოგადოებას შორის, ნგრევს პიროვნების დთრგუნვას. სოციალიზმის მტრები მზად არიან აღიარონ ჩვენი წარმატებანი მატერიალური წარმოების სფეროში, მაგრამ იქვე ამტკიცებენ, რომ ეს წარმატებანი თითქოს ძიღწეულია ადამიანის შელახვით. კომუნისტები პიროვნების წინააღმდეგ გამოდიანო, მათთვის ადამიანი ხრახნიაო და ა. შ. ანტიკომუნისტები გაჯეროინან პიროვნების ფასეულობებზე, ინდივიდუალურ თავისუფლებზე, მორალზე, ბურჟუაზიული დემოკრატიის „უპირატესობაზე" სოციალისტურთან შედარებით.

ᲠᲔᲐᲥᲪᲘᲝᲜᲔᲠᲘ ფრანგი მოღვაწე ალ ლაკრუა ცდილობს „დამტკიცოს", რომ მარქსიზმმა „დაიბეჭდა ადამიანი", მისი თანამემამულე რაიმონ არონი კი ამტკიცებს, რომ თითქოს „ამერიკას პროლეტარიატი მეტ გავლენას ახდენს გადაწყვეტილებათა მიღებაზე თეთრ სახლში, ვიდრე საბჭოთა მუშები იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც კრემლში იღებენ".

მაგრამ ფაქტებით შეიძლება დავიწყმუნდეთ, თუ როგორ ახდენენ „გავლენას" ამერიკელი მუშები ვაშინგტონის პოლიტიკაზე. ვერავინ ვერ უარყოფს ამას, რომ სხვადასხვა შეზღუდვის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების დაახლოებით 15 მილიონ მოქალაქეს ართმევენ ხმის უფლებას პრეზიდენტის არჩევნებზე, ხოლო 50 მილიონ მუშასა და წვრილ ფერმერს არ შეეძლია კონგრესში აირჩიოს თუნდაც ერთი თავისი წარმომადგენელი. ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა იცის, რომ მრავალი მასები მსჯელობენ უმნიშვნელოვანესი კანონების პროექტებზე. კომუნისტური პარტია თუდამ ეთანხმებიან ხალხს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხზე. ამრიგად, ყველაფერი, რაც საბჭოთა კავშირში, სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ადამიანისათვის, ადამიანის სასარგებლოდ კეთდება, ლანძღვარია ანტიკომუნიზმისათვის.

37 კაპიტალისტურ ქვეყანაში კომუნისტური და მუშათა პარტიები აკრძალულია, ისინი არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფებიან. იმპერიალისტები ცდილობენ დრაკონული ღონისძიებით ძალებებში გამომაწყვდეონ თავისუფლება და დემოკრატია. კომუნისტებთან ერთად ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და „თავისუფალი სამყაროს" მთელ რიგ სხვა ქვეყნებში დევნას განიცდიან ის მოქალაქენი, რომლებიც ცდილობენ იბრძოლონ ბურჟუაზიული დემოკრატიის წინააღმდეგ.

ზემოთ მოხსენებული ფრანგი სოციოლოგი რაიმონ არონი წიგნში „მშვიდობა და ომი", ცდილობს „დაამტკიცოს", მშვიდობის არავითარი იმედი არ არის, ომი გარდუვალია ხოლო რაკი ასეა, თერმოატომურ ომს უნდა შეეუფრიგდეთო. **სწორედ უიმედობისა და ხასოწარკვეთილების თავისებური ფილოსოფიის დანერგვა ანტიკომუნისტთა ერთ-ერთი მიზანია.** დაიშინონ ხალხები, გახრწნან ადამიანთა სული ნიჰილიზმის, გულგრილობის საშუალებით — აი რას ნატრობენ მშვიდობისა და დემოკრატიის მტრები.

სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ სიცრუესა და ცილისწამებას რომ ავრცელებენ, ბურჟუაზიული თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ კომუნისტები იმისათვის იცავენ მშვიდობასა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, რომ მოადუნონ დასავლეთის სიფხიზლე **ყოველ „მომდევნო შეტევის" წინ.**

რეაქციული პოლიტიკოსები და პროპაგანდისტები საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს ბრალს სდებენ რევოლუციის ექსპორტში. მაგრამ თანაარსებობა ვერ გააუქმებს კლასობრივი ბრძოლის კანონებს. კომუნისტები რევოლუციის ექსპორტს წინააღმდეგი არიან, და დასავლეთში ეს ყველამ კარგად იცის. მაგრამ ჩვენ მიგვანიშნა, რომ არავის არა აქვს უფლება ეწყოდეს კონტრრევოლუციის ექსპორტს, ახორციელებდეს საერთაშორისო ჯანდარმის ფუნქციებს. და ესეც კარგად უნდა იცოდნენ.

ანტიკომუნისტური ისტერიის ეთანხრებაში ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდ არის დაყენებული „კომუნიზმის შესწავლა", რაც მთავარ მიზნად ისახავს სახელი გაუტეხონ კომუნისტთა იდეებსა და საქმეებს. „კომუნიზმის შესწავლამ" განსაკუთრებით ფართო გაქანება მიიღო მას შემდეგ, რაც 1958 წელს შემოღებულ იქნა ახალი კანონი განათლების შესახებ „ეროვნული თავდაცვის მიზნით". ამ კანონით ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საჭიროა დაგროვებულ იქნას ცოდნა ასთასეულის კომისრის კალენკი გიორგაძის საბრძოლო ეპიზოდებე.

დეკემბრის ერთ-ერთ ნომერში გაზეთი მკითხველებს უამბობს ახალთერჯოლელი შრომისმოყვარე ადამიანის საბა ბუცხრაკიძის შრომითსა და საზოგადოებრივ საქმიანობაზე. იგი იყო პირველი მსოფლიო ომის მონაწილე, გიორგის ჯვრისა და რამდენიმე მედლის კავალერი. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მას უმუშავნია ტყიბულის მაღაროებში, სადაც ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენები და მედლები დაუმსახურებია. 1931 წლიდან ს. ბუცხრაკიძე საქართველოს სსრ ცენტრალური ალმასრულებელი კომიტეტის უცვლელი წევრი ყოფილა. გაზეთი დასძენს, რომ „ჩვენი რაიონის მკვიდრის საბა ბუცხრაკიძის ნაბერი ხსოვნა მუდამ იქნება მადლობითა ახალგაზრდა თაობისათვის სამშობლოს სადიდებლად წარმოებულ შრომაში".

გაზეთმა „წინსვლამ" საყურადღებო სტატიები მიუძღვნა აგრონომის, რაინის ღვაწლმოსილი ადამიანების — საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომის, მცენარეთა მესაიდუმლის და მეგობრის ნ. ზარანაძის, ბოტანიკის დამსახურებული ექიმის მ. ჭუმბურიძის, ქვედა სიმონეთის საშუალო სკოლის დირექტორის ლ. სეფიაშვილის, საკოლმეურნეო მოძრაობის ვეტერანის ბ. გუბელაძის, სამამულო ომის მონაწილის, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერის ექიმი ი. ჭოჩიაშვილის, ლენინის „წითელი დროშისა" და „წითელი ვარსკვლავის" ორდენების კავალერის ვ. ლეკლიკაძის, ძველი კომუნისტის ს. კლდიაშვილის და სხვათა შინაარსიან ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

გაზეთმა ამითი უმჯობესად კარგი საქმე წამოიწყო.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲤᲚᲘᲡᲢᲘᲕᲘ

◆ **ᲪᲐᲒᲔᲠᲘ.** შვიდწლედის პირმშოა ლაჯანურიპეესის ახალი დასახლება სოფელ გაგულეჩის ჭალაში. ახლა აქ ლამაზად ნაგები ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებია; აქვე საკლასო-ინტერნატში სწავლობენ ორბელის, სოფოლაშვილის, გაგულეჩის, უსახელოს და სხვა სოფლების მცხოვრებთა შვილები. ახალი დასახლება გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით.

ს. ᲡᲘᲐᲜᲘᲫᲔ.

◆ **ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘ.** აქ ცხოვრობს თვითნასწავლი მხატვარი-კარიკატურისტი გ. კორსანტია. იგი შრავალი საინტერესო ნაწარმოების ავტორია. მისი კარიკატურები სისტემატურად იბეჭდება რაიონული გაზეთის ფურცლებზე. ამას წინათ კულტურის სახლში მოეწყო მხატვრის ნამუშევართა გამოფენა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

მ. ᲭᲝᲯᲣᲐ.

◆ **ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ.** სანატორიუმის დამსვენებელთა უკეთ მომსახურების მიზნით „სოიუზპატის" ზუგდიდის საბაგენტომ კულტურ ცაშის სანატორიუმში ჟურნალ-გაზეთების კიოსკი გახსნა.

Ჯ. ᲐᲚᲨᲘᲑᲐᲘᲐ.

◆ **ᲡᲐᲛᲢᲠᲘᲓᲘᲐ.** სამტრედიის მასწავლებლის სახლთან არსებულ საბავშვო თეატრმა, რომელშიც გაერთიანებული არიან წარჩინებული მოსწავლეები, დადგა ა. თავბერიძის პიესა „დაკარგული დრო". როლებს ასრულებდნენ ბ. ჩიგოგიძე, ი. ფოფხაძე, დ. კვირკტალია, ბ. ბოცვაძე და სხვები.

Ი. ᲑᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ.

◆ **ᲡᲝᲩᲮᲣᲛᲘ.** ს. ჭანბას სახელობის აფხაზური დრამის კოლექტივმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა რ. ჭოტუას ახალი პიესა-ზღაპარი „აფეალშის ქალიშვილი". დადგმა ეკუთვნის სპეციალელოს სსრ სახალხო არტისტს, რეჟისორ ა. აგრბას, მხატვრული გაფორმება — თ. ეკანიას, მუსიკა — კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილს, ცეკვები — რესპუბლიკის სახალხო არტისტს, ქორეოგრაფ რ. აგრბას.

ნ. ᲛᲘᲥᲐᲫᲐᲕᲘᲫᲔ.

◆ **ᲯᲣᲗᲐᲘᲡᲘ.** საქალაქო საბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ გასულ წელს ომიანი და შრომის ინვალიდებს პენსიისა და ერთდროული დახმარების სახით მისცა 4 მილიონ 949 ათასი მანეთი. პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს მიეცათ 114 უფასო სანატორიუმის საგზური. ინდივიდუალური ბინათმშენებლობისა და რემონტისათვის გრძელვადიანი სესხი მისცეს სამამულო ომის 55 ინვალიდს. ახალ ბინებში შეასახლეს 16, ხოლო საცხოვრებელი ბინები გაუფართოეს შვიდს.

შ. ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ.

ᲧᲝᲤᲐᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲮᲣᲗᲘᲐᲜᲘ?

ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ სკოლაში ყოველი მეოთხედის ბოლოს ჯამდება მოსწავლეთა აკადემიური წარმატება და სათანადო ნიშნებიც იწერება. დაბალი ცოდნა, რომელიც წლის ბოლოს არადამაკმაყოფილებელი ნიშნით აღინიშნება, მოსწავლეს შემდეგ კლასში გადასვლის უფლებას არ აძლევს. ეს გარემოება დადებით როლს ასრულებს ბავშვის სწავლისადმი დამოკიდებულების საქმეში, მაგრამ ამგვარად როდი ფასდება მოსწავლეთა ყოფაქცევა სკოლაში. ცნობილია, რომ ყოველ მეოთხედში პედაგოგიური საბჭო განიხილავს მოსწავლეთა ქცევის საკითხს და საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთ მოსწავლეს ყოფაქცევაში ნიშნს აკლებს „4"-მდე ან „3"-მდე. წლის ბოლოს კი პედაგოგიური საბჭოს დადგენილებით ყველა მოსწავლეს ეწერება ყოფაქცევაში ნიშანი „5", მიუხედავად იმისა, ღირსი არიან თუ არა. ეს გარემოება კი ალზრდის საკითხში უთუოდ ცუდ როლს ასრულებს.

გამოდის, რომ ყოფაქცევის ნიშანი, რომელსაც სხვა აღმზრდელობითს ღონისძიებებთან ერთად შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მოსწავლის ხასიათის სწორად ჩამოყალიბებაში, სრულიად კარგავს თავის პირდაპირ მნიშვნელობას და სასწავლო დისციპლინების დამატებად, ფორმალობად იქცევა.

მოსწავლეს, რომელიც ყოფაქცევაში „5"-ის ღირსი არ არის, დებულების თანახმად სიმწიფის ატესტატი არ შეიძლება მიეცეს. ისმება კითხვა, რა ვუყოთ? როგორ მოვექცეთ ასეთ მოსწავლეს? დავტოვოთ გაბეერობით დამამთავრებელ კლასში ერთი წლით იმისათვის, რომ ყოფაქცევა გამოასწოროს? დებულებით საშუალო სკოლის დამამთავრებელ კლასში განმეორებით დაჯდომაც არ შეიძლება. გამოდის, რომ როგორი ყოფაქცევისაც უნდა იყოს მოსწავლე, მაინც უნდა მიეცეს სიმწიფის ატესტატი. მაშინ რა გამართლება აქვს საკართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 27 მარტის ინსტრუქციას, სადაც გკითხულობთ, რომ „საშუალო განათლების ატესტატის გაცემა დასაშვებია მხოლოდ მოსწავლის სანიმუშო ყოფაქცევის შემთხვევაში, ე. ი. მას ყოფაქცევაში უნდა ქონდეს ნიშანი „5"?

ჩვენი აზრით, დროა გადავხედოთ დებულებას ყოფაქცევაში ნიშნების გამოყვანის შესახებ და სათანადო ცვლილებებიც შევიტანოთ მასში.

საშუალო სკოლებში მიღებული წესის თანახმად ერთი და იგივე ნიშანი სასწავლო დისციპლინაში და ყოფაქცევაში ერთი და იმავე მნიშვნელობით არ გვევლინება. ნიშანი „4" ქიმიაში ან გეოგრაფიაში კარგი ნიშანია, მოსწავლე ამისათვის წახალისების ღირსიც არის, ხოლო იგივე ნიშანი „4" ყოფაქცევაში არა თუ კარგი, სამარცხვინოც არის თვით მოსწავლისა და მისი მშობლებისათვის და იგი არც კლასის ხელმძღვანელს მოსავს შარავანდედით. ნიშანი „3" თუ დამაკმაყოფილებელია სასწავლო საგანში, ის ყოფაქცევაში საგანგაშოც არის — მოსწავლეს აფრთხილებს, რომ მას სკოლიდან გარიცხვა ემუქრება. მოსწავლეს, რომელიც საშუალო სკოლის კურსს ამთავრებს, ყოველ სასწავლო დისციპლინაში ნიშანი „3" რომ ჰქონდეს, ეს მას ხელს არ შეუშლის, მაგრამ ყოფაქცევაში რომ „4" აღმოაჩნდეს, ატესტატს ვერ მიიღებს.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ უნდა მოიშალოს ასეთი განსხვავებული გაგება საგნებისა და ყოფაქცევის ნიშნებს შორის. ნიშნები „5", „4", „3" და „2" ყოფაქცევაში იმ გაგებით უნდა ვწეროთ, როგორც საგნებში იწერება. მაშინ ნიშანი „5" უნდა დაეწეროს იმ მოსწავლეს, რომელიც ნამდვილად არის წარჩინებული ყოფაქცევის, და არა ისე. როგორც დღეს ის ეწერება ყოველ მოსწავლეს, თუ მისი საქციელი როგორმე მოსათმენია და ასატანი; ნიშანი „4" კი იმ მოსწავლეს, რომელიც ძირითადად ასრულებს ქცევის წესებს როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთაც, მაგრამ ყოველთვის ვერ იჩენს მტკიცე ნებისყოფას და ზოგჯერ უშვებს არაუფლებ დარღვევას; ნიშანი „3" იმ მოსწავლეს, რომელიც ხშირად არღვევს წესრიგს უხეშად; ნიშანი „2" კი იმ მოსწავლეს, რომელიც სისტემატურად უხეშობს, აწუხებს მასწავლებლებსა და ამხანაგებს, დაბლა სწევს კაკვიერალზე მასწავლებლის შრომის ნაყოფიერებას და ცუდ ზნეობრივ გავლენას ახდენს ამხანაგებზე. ეს ნიშნები ყოფაქცევაში გაფორმილებაც უნდა იყოს მოსწავლისათვის, რომ ის გარიცხვება სკოლიდან, თუ ყოფაქცევა არ გამოსწორა. ნიშანი „1" დაეწერება მოსწავლეს, რომელიც სისტემატურად იღებდა ყოფაქცევაში „2"-ს და გამოსწორება არ დაეტყო. ასეთი მოსწავლე სკოლას უნდა მოშორდეს.

ზოგიერთ შემთხვევაში კეთილი რჩევა-დარიგება და სხვა აღმზრდელობითი ღონისძიებები მოსწავლეს სათანადოდ ვერ მოქმედებს. ასეთ მოსწავლეს რვაწლიდან დამთავრების მოწმობაში ან საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატში ყოფაქცევაში „5" არ უნდა დაეწეროს. ეს საზოგადოების და თვით ამ მოსწავლის შეცდომაში შეყვანა იქნებოდა. ამ დოკუმენტებშიც, როგორც სასწავლო დისციპლინებში, ისე ყოფაქცევაში ნიშანი „5", „4" თუ „3" უნდა დაიწეროს იმის მიხედვით, რის ღირსიც მოსწავლეა.

ასეთი მოსწავლისათვის სახელის რაიმე ზომაც უნდა გამოინახოს. ამას საბართლიანობა მოითხოვს. ეს სასარგებლო იქნებოდა ამ მოსწავლისა და მისი ამხანაგებისათვის. ჩვენი აზრით, ყოველმხრივ გამართლებული იქნება ჩვენი მოქმედება, თუ იმ ატესტატებს, რომლებშიც ყოფაქცევაში ნიშანი „4"-ია შეტანილი, გაუკეთდება შენიშვნა, რომ ის ძალაში შეიცვალა დღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო ნიშანი „3"-ის შემთხვევაში 2 წლის შემდეგ.

საკითხისადმი ასეთი მიდგომა ბოლოს მოუღებს ყოფაქცევის ნიშნის ფორმალურად წერას და სერიოზულად ჩაიფიქრებს მოსწავლეთა იმ ნაწილს, რომლებსაც სავალდებულოდ არ მიიჩნიათ ქცევის წესების დაცვა. ეს კი საბოლოოდ შეუწყობს ხელს დისციპლინის განმტკიცებას, რაც თავისთავად გამოიწვევს სწავლა-აღზრდის საქმის გაუმჯობესებას.

Ვ. ᲛᲔᲜᲐᲒᲠᲔ,
საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

საერთაშორისო სხივრეკა

შეიქმნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საპატრო პალატა

ვარიზი, 3 თებერვალი. (საკდესი). საფრანგეთის საგარეო ვაჭრობის ეროვნული ცენტრი პატარა დარბაზმა ძლივს დატია ყველა, ვინც მონაწილეობა სურდა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საკავშირო პალატის დამფუძნებელ სხდომაში. აქ შეიკრიბნენ საფრანგეთის ეროვნული და საკავშირო წრეების წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის განვითარებით.

საბჭოთა კავშირის მხრივ დამფუძნებელ კრებაში მონაწილეობდნენ სრულიად საკავშირო საფრანგეთ პალატის პრეზიდენტი მ. ვ. ტეტროვი, საბჭოთა კავშირის ელჩი საფრანგეთში ვ. ა. ზორინი, საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

სხდომის მონაწილეებმა აირჩიეს ეროვნული საკავშირო პალატის დირექტორთა საბჭო, რომელმაც თავის მხრივ აირჩია პალატის პრეზიდენტი. დირექტორთა საბჭოს შემადგენლობაში შევიდა ორივე მხარის ხუთ-ხუთი წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის საკავშირო პალატის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს მაქს ფლეშე. დირექტორთა საბჭოში საბჭოთა მხარის წარმომადგენლები არიან ერთ-ერთ ულად საკავშირო სავაჭრო პალატის პრეზიდენტის თავმჯდომარე მ. გ. ნესტეროვი, საგარეო ვაჭრობის გაერთიანებათა თავმჯდომარეები ვ. პ. დაშკევიჩი და ე. პ. გუროვი, საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის გამგის თავმჯდომარე მ. ნ. სვეშნიკოვი და საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი საფრანგეთში პ. ა. ზასარინინი.

დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად მიიღო საკავშირო პალატის წესდება.

ბ. ვ. ნესტეროვმა შეჯამა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის სავაჭრო პალატის დამფუძნებელი სხდომის შედეგები და განაცხადა, რომ ორმხრივ სავაჭრო პალატის ბიუროს ოქტომბერში 1 ივნისამდე. მან თქვა, რომ საბჭოთა საგარეო ვაჭრობის გაერთიანებანი ისწრაფვიან განავითარონ სავაჭრო გაცვლა საფრანგეთთან, გამოთქვა იმედი, რომ ორმხრივ ხელშეკრულებანი ორ ქვეყანას შორის შეიძლება ერთიორად გაიზარდოს.

ი. ბროზ ტიტო გუდაპეშტში ჩავიდა

ბელგრადი, 3 თებერვალი. (საკდესი). ეროვნული ფრონტის ეროვნული კომიტეტის პროგრამა, — ბელგრადის რადიოს ცნობით, — ბოლო ოთხ-ხუთ კვირაში ბელგრადში ეროვნული ფრონტის ეროვნული კომიტეტის ფართო სხდომა ... ეროვნული ფრონტის ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული

ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). აქ დაიწყო ზამთრის ტურისტული სეზონი. სამი საკავშირო მარშრუტით ქუთაისს უკვე ეწვია 500-მდე ტურისტი. ისინი ჩამოვიდნენ მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ხარკოვიდან, ოდესიდან, როსტოვიდან, რიაზანიდან და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებიდან.

ქუთაისის ტურისტული ბაზა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა სეზონს — შეკეთდა და /რბილი ინვენტარით შეივსო საძინებელი კორპუსი, ტურისტთა განკარგულებაშია ცხრა კომფორტაბელური ავტობუსი, საუკეთესო სასადილო.

საიუბილეო წელს ქუთაისს 40 ათასამდე ტურისტი ეწვევა.

◆

ᲥᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲩᲣᲥᲐᲠᲘ

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ. (საკ. კორ.). პატარა, მაგრამ ლამაზი სოფელია თელა. იგი ცოდნისკენის ძერეიწსკის სახელობის კოლმეურნეობაშია გაერთიანებული. კოლმეურნეობამ თელელ ბავშვებს კარგი საიუბილეო საჩუქარი მიუძღვნა — რვაწლიანი სკოლისათვის ახალი ორსართულიანი შენობა ააგო. ამასთან საკუთარი სახსრებით ყველა სახის ინვენტარი შეიძინა.

ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲜᲔᲡᲕᲘ

ნესვს ხე ისხამს. ბევრს ეს უცნაური, წარმოუდგენელიც კი ეჩვენება. და, მიუხედავად ამისა, ეს ასეა. კუბიდან შემოტანილი უჩვეულო ნესვის მოგლა-მოყვანაზე მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის გაერის საყოველთო პუნქტის კოლექტივი.

ნესვის ხე დიდ ღირებულებას წარმოადგენს როგორც სამკურნალო საშუალება. ძვირფასი ნაყოფი ფერმენტ პაპაინს შეიცავს. იგი ცილოვან პროდუქტებს ამინმჟავებად შლის, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმისათვის.

ნესვის ხე საქართველოს სუბტროპიკებში ნინებულად ეჩძნობს თავს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: აგრონომი-ლაბორანტი ტ. ევსიუკოვა სინჯავს ნესვის ხის ნაყოფს.

ფოტო მ. ტარასოვისა. (საქდელის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗᲘ ᲐᲥᲝᲠᲓᲘ

ᲖᲐᲖᲔᲗᲘᲡ მკითხველმა სამართლიანად შეიძლება იკითხოს: რა ხალხია ეს მოჭადრაკეები, ნუთუ შეიძლება 35 დღეს ზედიზედ ჭადრაკი ითამაშო და თავი არ გაგიკვდესო.

უნდა აღვნიშნო, რომ მოჭადრაკენი ჩვეულებრივი ადამიანები არიან (თუ უურადღებას არ მივაქცევთ ზოგიერთ უცნაურობას, რასაც არამოჭადრაკეებშიც ვხვდებით!).

თუ ვიტყვით, თბილისში 35 დღეს ჭადრაკს თამაშობდნენო, ეს ისტორიულად მთლიანად ზუსტი როდი იქნება, ვინაიდან თამაშობაგან თავისუფალი დღეებიც იყო. „კომუნისტის“ მკითხველებმა იციან, რომ დასვენების დღეები ჩემპიონატის მონაწილეებმა გორში, ფასანაურში, წინანდალში გაატარეს. შესაძლოა, ჩემპიონატის დროს საკმაო ინფორმაციას ვერ ვაწვდიდით მკითხველებს იმაზე, თუ რას აკეთებენ გროსმაისტერები, როცა ჭადრაკს არ თამაშობენ. ერთი რამ კი უნდა ვთქვათ: თითქმის ყველა გროსმაისტერი გატაცებულია ავტომობილიზმით. ცხადია, თვითეული ავტომობილისტი გაურბის ზედმეტ შეხვედრას სახელმწიფო ავტოინსპექციასთან. და ამიტომ... ერთი ჭიქაც არ შეიძლება! ტურნირის დროს სახელმწიფო ავტოინსპექციის ფუნქციას ასრულებს არა მარტო მწვრთნელი, არამედ მოწინააღმდეგეც. ამ მოსაზრებით მოჭადრაკეებს ტურნირის დროს ღვინის სუნიც კი ეკრძალებათ. ამიტომ მოჭადრაკეებს მიაჩნიათ, რომ ექსკურსია წინანდალში სჯობდა მოეწყოთ... ტურნირის შემდეგ.

თბილისელებს შეეძლოთ გამომშვიდობებოდნენ ჩემპიონატის მონაწილეებს საზეიმო დახურვაზე რუსთაველის სახელობის თეატრში ხუთშაბათს. ჭადრაკის ფიგურები უუთებია ჩაწყობილი. კმარა! საკმაოდ ითამაშეს!

მე მოვისაზრე და მორთულ სცენაზე ყველაზე ხელსაყრელი პოზიცია დაეიკავე — ნონასა და ნანას შუა! ამბ როგორ არ მენატრა რამე? საიდუმლო არაფერია: ვინატრე, რომ თბილისში რაც შეიძლება მალე გაიმართოს ახალი საჭადრაკო დღესასწაული.

საზეიმო დახურვის შემდეგ მოჭადრაკეებმა სცენა მსახიობებისათვის გაათავისუფლეს. „კომუნისტის“ მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ მე ვწერდი, დასკვნითს ხალამზე სმასლოვი იმდენრებს... თუ წარმატებით ითამაშებს-მეთქი. მაგრამ რადგანაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ბედმა უმტყუნა, ცხადია, სიმღერის ხალისი არა აქვს. საინტერესოა, რომ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტმა კაკაბაძემ შეასრულა სმასლოვის ყველაზე საყვარელი არია — პროლოგი. მის მშვენიერ, მძლავრ ხმას ძნელია კონკურენცია გაუწიონ არა მარტო მოყვარულებმა, არამედ პროფესიონალებმაც.

კონცერტის შემდეგ გაიმართა დასკვნითი ბანკეტი. აქ ალარც სახელმწიფო ავტოინსპექციაა ხაშიში და არც სპორტული რეჟიმი. აქ ღვერი არ გიწყენს, რომ ოდნავ მიტიც გადაკრა. მიზეზიც არის: ზოგი გამარჯვებით არის გახარებული, სხვები კი წარუმატებლობით არიან გულნატკენი.

თბილისელები დარწმუნდნენ, რომ ლ. შტეინი ძალიან ძლიერად თამაშობს ჭადრაკს, ხოლო ორატორები მასზე უკეთესიც არიან. რას იზამ! შტეინს გამარჯვება აქვს: მან ოქროს მედალი მოიპოვა და, როგორც ცნობილია, დუმილი... ოქროდ ღირს!

ოსტატურად, გონებამახვილურად, გულითადად „სარდლობდა“ პარადს ამ დასკვნითს ხალამზე თამადა, საქართველოს ფედერაციის თავმჯდომარე ა. ᲨᲘᲠᲐᲕᲐᲫᲔ. მან გაიხსენა, რომ როცა წინანდალში ვ. კორჩნოის სთხოვეს, რაიმე იმღეროო, ამ უკანასკნელმა თქვა: შემდეგ! ტურნირის დროს იგი ყაიმებმა დატანჯა და ამიტომ ხმა დაეკარგა. ახლა ეს „შემდეგ“ აღარ შეიძლება გადაიდოს. კორჩნოიმ უპასუხა, მე ხმა არ დამიკარგავს, რადგან არახოდეს არა მქონია, მაგრამ რაკი დაგპირდით, შემიძლია ვიმღერო.

XXXIV საᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ჩემპიონატმა გამოავლინა პრიზიორები. ოქროს მედლის მფლობელი გახდა გროსმაისტერი ლ. შტეინი, ვერცხლის მედლისა — გროსმაისტერი Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘᲜ.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ამ გამოჩენილ მოჭადრაკეებს. აი მათი ნაამბობი:

ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲘ: ჩემპიონობა ყოველი გროსმაისტერისა და ოსტატის სანუკვარი ოცნებაა. მოხარული ვარ, რომ ეს ტიტული მესამეჯერ მოვიპოვე.

პირველობის საკითხი ჩემსა და Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘᲡ შორის ნახევარმა ქულამ გადაწყვიტა. არც ის უნდა დაგვიგეწყდეს, რომ ბრინჯაოს მედალს ერთბაშად სამი პატრონი აღმოუჩნდა.

თბილისი ჩემთვის მეფლინერი ქალაქი აღმოჩნდა. არასოდეს არ დამავიწყდება აქაურ მაყურებლთა მხარდაჭერა, ყურადღება, სტუმართმოყვარეობა.

სასიამოვნოა, რომ სხვა ჯილდოებთან ერთად ყველაზე მეტი მოგებისათვის „კომუნისტის“ პრიზი დავიმსახურე.

ჩემი კეკმეები? — ჯერ დასვენება, შემდეგ კი მზადება ტუნისის საზონათშორისო ტურნირისათვის.

Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘ: ხელსაყრელი როდი მივემგზავრები. ერთ ტურნირში ვერცხლის მედალი და ტუნისის საგზურიც ცოტა როდია. რასაკვირველია, ძალაყოფილი ვარ. პრიზიორები კიდევ შეეხვდებით ერთმანეთს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲘ გაზეთ „კომუნისტის“ პრიზით.

ᲡᲘᲪᲮᲪᲐᲚᲘ ᲭᲐᲚᲕᲔᲗ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ

XXXIV საᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ჩემპიონატმა გამოავლინა პრიზიორები. ოქროს მედლის მფლობელი გახდა გროსმაისტერი ლ. შტეინი, ვერცხლის მედლისა — გროსმაისტერი Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘᲜ.

ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ამ გამოჩენილ მოჭადრაკეებს. აი მათი ნაამბობი:

ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲘ: ჩემპიონობა ყოველი გროსმაისტერისა და ოსტატის სანუკვარი ოცნებაა. მოხარული ვარ, რომ ეს ტიტული მესამეჯერ მოვიპოვე.

პირველობის საკითხი ჩემსა და Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘᲡ შორის ნახევარმა ქულამ გადაწყვიტა. არც ის უნდა დაგვიგეწყდეს, რომ ბრინჯაოს მედალს ერთბაშად სამი პატრონი აღმოუჩნდა.

თბილისი ჩემთვის მეფლინერი ქალაქი აღმოჩნდა. არასოდეს არ დამავიწყდება აქაურ მაყურებლთა მხარდაჭერა, ყურადღება, სტუმართმოყვარეობა.

სასიამოვნოა, რომ სხვა ჯილდოებთან ერთად ყველაზე მეტი მოგებისათვის „კომუნისტის“ პრიზი დავიმსახურე.

ჩემი კეკმეები? — ჯერ დასვენება, შემდეგ კი მზადება ტუნისის საზონათშორისო ტურნირისათვის.

Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘ: ხელსაყრელი როდი მივემგზავრები. ერთ ტურნირში ვერცხლის მედალი და ტუნისის საგზურიც ცოტა როდია. რასაკვირველია, ძალაყოფილი ვარ. პრიზიორები კიდევ შეეხვდებით ერთმანეთს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲘ გაზეთ „კომუნისტის“ პრიზით.

ᲕᲘᲜ ᲛᲘᲠᲘᲗᲐᲕᲡ ᲞᲠᲘᲖᲔᲑᲘ?

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ მონაწილეთათვის დაწესებულებებსა და ჟურნალ-გაზეთებს რედაქციებს დაწესებული ჰქონდათ სპეციალური პრიზები. აი ვის ხვდა ეს ჯილდოები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზი, დაწესებული „ჩემპიონატში გამარჯვებულისათვის“, გადაეცა გროსმაისტერ ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲘᲡ.

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის პრიზი „ექვს პრიზიორთან შეხვედრაში საუკეთესო შედეგისათვის“ მოიპოვეს გროსმაისტერებმა ნ. ᲙᲠᲝᲒᲘᲣᲡᲛᲐ და ლ. ᲞᲝᲚᲣᲒᲐᲔᲕᲡᲙᲘᲗᲛ.

საქართველოს სპორტკავშირის ჯილდო „საუკეთესო პარტიისათვის“ გადაეცა გროსმაისტერ დ. ᲒᲠᲝᲜᲨᲢᲔᲘᲜᲡ ი. ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲡᲙᲘᲗᲗᲐᲜ მოგებული პარტიისათვის.

გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი დაწესებული იყო „ყველაზე მეტი მოკვლისათვის“. მისი მფლობელი გახდა ლ. ᲨᲢᲔᲘᲜᲘ — 8 მოგება.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ჯილდო „ყველაზე ლამაზი კომბინაციისათვის“ მოიპოვა ბ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔᲗᲐᲜ ა. ᲚᲔᲘᲜᲗᲐᲜ პარტიაში.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲓᲠᲝᲨᲘᲡ“ პრიზი „პარტიის საუკეთესო დებიტლოებისათვის“ გადაეცა მ. ᲗᲐᲘᲛᲐᲜᲝᲕᲡ ვ. ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲗᲐᲜ შეხვედრაში.

გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ ჯილდო „საუკეთესოს არჩეულ მონაწილეთაგან“ ხვდა Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘᲡ.

„ახალგაზრდა კომუნისტის“ პრიზი „უკანასკნელ ხუთ ტურში უკეთესი შედეგისათვის“ მიიღო Ე. ᲒᲣᲤᲔᲚᲓᲗᲐ.

„მოლოდეოჟ გრუზიის“ ჯილდო „გროსმაისტერებთან შეხვედრაში უკეთესი შედეგისათვის“ გადაეცა ვ. ᲝᲡᲢᲔᲜᲡᲣᲚᲘ.

გაზეთ „ᲔᲕᲩᲘᲠᲜᲘ ᲢᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ“ პრიზი „შავებით თამაშში უკეთესი შედეგისათვის“ მოიპოვა Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲛᲐ.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ჯილდო „ᲝᲡᲢᲐᲒᲠᲘᲝᲡ“ — „დოუმარკეტელ ᲔᲚᲘᲡ“ მონაწილისათვის. ამ ჯილდოების მფლობელი გახდნენ ა. ᲚᲔᲘᲜᲘ და ვ. ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲘ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამახსოვრო პრიზი „ტურნირის ყველაზე უფროსი მონაწილისათვის“ გადაეცა ვ. ᲡᲛᲘᲡᲚᲝᲕᲡ. „ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ მონაწილისათვის“ პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიერ დაწესებული პრიზი მიიღო ვ. ᲡᲐᲕᲝᲜᲛᲐ.



სსრ კავშირის XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატის პრიზიორები: (მარცხნიდან) — ვ. ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲘ, მ. ᲢᲐᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘ, Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘ და Ა. ᲑᲘᲐᲚᲘᲡᲘ.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა.

ᲛᲪᲓᲐᲠ, ᲛᲐᲕᲜᲔ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲝᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების ისტორიაში ორმოცდაათიანი წლების პირველი ნახევარი ის პერიოდი იყო, რომელმაც ქართული კინოხელოვნების ახალი აღმავლობის ნიადაგი მოამზადა და მისი შემდგომი სწრაფი წინსვლა განაპირობა.

ამ ხანებში დაიწყეს მომზადება და შემდგომ წლებში თანდათან მშობლიურ ხელოვნებას დაუბრუნდნენ მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტდამთავრებული, თეორიული და პრაქტიკული ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები, რომლებმაც ქართული კინემატოგრაფიის ვეტერანებთან ერთად კინოხელოვნების შემდგომი განვითარება ახალი გზით წარმართეს.

როგორც ახალგაზრდობას სჩვევია, მათთან მოიტანეს მგზნებარე ენთუზიაზმი, მძლავრი ენერგია, განუსაზღვრელი მისწრაფება წინსვლისაკენ. ძველი ფორმებისა და რუტინის წინააღმდეგ დაუღალავ ბრძოლის წყურვილი. ამ საფუძველზე შეიქმნა ისეთი შესანიშნავი კინემატოგრაფიული ტილოები, როგორიც არის „მაგდანას ლურჯა“, „ჩვენი ეზო“, „ერთი ცის ქვეშ“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „თეთრი ქარავანი“, „ქორწილი“, და სხვა ფილმები, რომლებმაც სახელი შოუხვეშეს ქართულ ფილმს.

ქართული საბჭოთა კინოხელოვნება დიდი ხანია გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს. დასავლეთ ევროპიდან დაწყებული შორეულ ავსტრალიამდე, თითქმის მთელი მსოფლიოს კინოეკრანებზე თამამად დაიბჯენს იგი და თან მიაქვს ნათელი და სასიხარულო ამბები საბჭოთა საქართველოზე, მის ადამიანებზე, იმაზე, თუ რას მიაღწია ქართველმა ხალხმა დღეს, სადამდე მივიდა ჩვენი კულტურულ-ეკონომიური აღორძინება ამ თითქმის ორმოცდაათი წლის მანძილზე.

დიდი ხიამაყის გრძნობას გვანერგავს ის ფაქტი, რომ ქართული კინემატოგრაფიის მუშაკები ოქტომბრის 50 წლისთავს ხვდებიან ისეთი მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებით, როგორიც არის „ჯარისკაცის მამა“, რომელიც საბჭოთა ადამიანის დიდი ბუნების, მისი კაცთმოყვარეობის ფრთაშესხმულ სიმღერას წარმოადგენს.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფია, როგორც მახვებზე ზემოქმედების მძლავრი იარაღი, მუდამ მხარში ედგა ჩვენს ხალხს მისი ცხოვრების ყოველ ეტაპზე.

„განვლილი გზის ორმოცდაათ წელიწადში პარტიამ და ხალხმა განიცადეს როგორც დიდ გამარჯვებათა სიხარული, ისე დანაკლისის. დროებითი წარმატებლობის სიმწარე. ყველა განსაცდელიდან ჩვენი პარტია გამოდიოდა კიდევ უფრო გამოწრთობილი, უფრო ძლიერი, ურყევი რევოლუციური ოპტიმიზმითა და დიადი კომუნისტური საქმის გამარჯვების რწმენით აღსავსე“, — ნათქვამია ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“.

ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის ნაწარმოებთა უმრავლესობა, მიმდე რესპუბლიკების კინონაწარმოებებთან ერთად, ნათლად ასახავს ჩვენი ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენების ხასიათსა და თავისებურებებს. ეს იყო და არის საბჭოთა კინოხელოვნების, მათ შორის ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის წმიდათა-წმიდა ამოცანა და მოვალეობა.

ჩვენი ცხოვრების განვითარების შინაგანი ლოგიკა ჩვენს სინამდვილეში უდიდეს წარმატებებთან ერთად არსებულ ხარვეზებსაც გულისხმობს. ფაქტია, რომ ჩვენს გარშემო მაღალი მორალის, სპეტაკი და პატიოსანი ადამიანების გვერდით ვხვდებით ისეთებს რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩენიან ჩვენს ცხოვრებას და მისი ბაღნარის სარეველა ბალახს წარმოადგენენ, როგორც მაქსიმ გორკი ამბობდა, „დადიან, ხვამენ, ჭამენ, ჯერ დაუხვლავებელნი არიან, მაგრამ ეჭვი არ არის, დასამარდებიან“. მხატვრის ვალია დაეხმაროს ჩვენს ხალხს ამ ნაძირალათა დასაფლავებაში.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელოვანი უპირველეს ყოვლისა მბოლოდ იმ ნაკლოვან და ჩრდილოვან მხარეებს ხედავს, რომელთა არსებობაც ჩვენი წარმატებების გვერდით დროებითია, არადამახასიათებელია, და, ამრიგად, ხელოვნებისათვის ფართო განზოგადების ობიექტს აო წარმოადგენს. მათი განზოგადება კი უდავოდ მცდარი გზაა. ჩვენი ხელოვნების მუშაკები, სუბიექტურად რა კეთილშობილური სურვილებიც უნდა ჰქონდეთ მათ, ჩვენს ხალხს მისი დიადი მისიის შესასრულებაში ამ გზით ვერაკეთარ დახმარებას ვერ გაუწევენ. პირიქით...

კინოფილმი „ᲑᲝᲠᲒᲝᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘ“ სწორედ ამ ხასიათის ნაწარმოებია. სამწუხარო იგი მით უფრო, რომ მისი დამდგმელი კინორეჟისორი თთარ იოსელიანი ქართული კინემატოგრაფიის ახალგაზრდობის პლეადას ეკუთვნის.

პირველი სერიოზული მარცხი, რომელიც ახალგაზრდა შემოქმედს განიცადა, ეს იყო მისი პირველი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ᲐᲞᲠᲘᲚᲘ“. ეს არ ყოფილა მხატვრული ხასიათის მარცხი, რასაც, სამწუხაროდ, ზოგჯერ ყურადღებას არ ვაქცევთ. ეს იყო მცდარი იდეური კონცეფცია, ყოფის მრუდე თვალით დანახვა, ცრუ ოდერნისტული ხასიათის ობიზმისა, რომელშიც სრულიად ჩაიხრჩო სცენარში არსებული აქტუალური იდეური მარცვალი, საინტერესო კინოოპერების შექმნის საფუძველს რომ იძლეოდა.

მაშინ ამ ფილმის შესახებ საუბარი უბრალო მოითხებებთან და გაფრთხილებით განსახზღვრა. ახალგაზრდა რეჟისორს ეს მარცხი შემთხვევით მოვლენად ჩაეთვალა და ეპატიჟა. მაგრამ, როგორც იტყვიან, ჭირმა თავი ვერ დამალა — „გორგობისთვეში“ კიდევ უფრო გაალრმავა ის შეცდომები.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს მეორე მარცხი სწორედ იმ ლიბერალობის შედეგია, რომელიც „აპრილის“ მიმართ გამოვიჩინეთ. ამგვარ ლიბერალიზმს, არაპრინციპულობას არც შემოქმედისათვის, არც იმ კოლექტივისათვის, სადაც ის შემოქმედი მუშაობს, არასოდეს სარგებლობა არ მოაქვს. და აი მეტად გულსატკენი ფაქტიც ჩვენს წინაშეა.

„გორგობისთვეს“ ჩვენს ცხოვრებაში შესახმნივ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლის პრეტენზია აქვს. ასეთია ავტორთა სუბიექტური მისწრაფება, მაგრამ ამ ჩრდილოვან მხარეთა იქით არსებული დიდი და მზიანი საჭყარო არ სურთ დაინახონ. ავტორები ცდილობენ არა მარტო ერთი კონკრეტული ღვინის ქარხანა წამოგვიდგინონ უხამობის ბუდედ, არამედ საერთოდ ჩვენი ცხოვრების ყველა დეტალი, ყველა მხარე დახატონ რაც შეიძლება მუქი, შავი საღებავებით. ამრიგად, ჩვენ წინ დგება მხლოდ სიმახინჯე, უსამართლობითა და სიბილწით აღსავსე ცხოვრება, სადაც კეთილისა და ნათელის წარმომადგენლად ერთი უსუსური, უნდილი ბიჭია გამოყვანილი! ტუუილად ფიქრობენ ფილმის ავტორები, რომ ნიკო ეგრეთწოდებული დადებითი პერსონაჟია და ბნელი ძალების წინააღმდეგ მებრძოლ გმირს წარმოადგენს. ამბ კარგად დავუკვირდეთ ამ ხასიათის განვითარებას, ანალიზი გავუკეთოთ პერსონაჟის ხაკციელს ხაქსპოზიციო კადრებთან ფეხბურთის სცენამდე და დავრწმუნდებით, რომ ამ ახალგაზრდას არავითარი ბრძოლის უნარი არა აქვს და ასეთები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დიდი მისიისათვის მოწოდებულნი არ არიან. ავტორები თვითონ დასცინიან თავიანთ გმირს. მის მოქმედებას დონ-კიხოტურ გამოსტყმად მიიჩნევენ, ჭარის წისქვილებთან ბრძოლად თვლიან.

ძალზე ბნელი საღებავებით არიან დახატული ფილმის სხვა ახალგაზრდებიც, ქალიშვილები და ვაჟები — არაფრის მაქნისები, უქნარები, ხეტიალსა და დროსტარებას გადაყოლილნი. მათ არაფერი არ აინტერესებთ, არაფერი არ იტაცებთ, ქალებს ვაჟებთან პამპულობის გარდა, ვაჟებს კიდევ ჩხუბისა და ღვინის სმის გარდა. არავითარი კეთილშობილური მიზანი, მისაბაძი საქციელი, პირიქით — მიმოხვრა ხულიგნური, საუბარი ვულგარული, ჭუჭრუნი სიტყვებით არის სავსე ამ ახალგაზრდების სალაპარაკო ლექსიკონი.

იქნება ფილმის გმირების ძველი თაობის წარმომადგენელთა შორის ვიპოვოთ რომელიმე ნათელი და კეთილშობილური სახის ადამიანი! არა, ავტორებს ასეთი ვინმე არ დაუნახავთ. „ბაღშეი ნუ ხარ, რა დროს პრინციპებზე ლაპარაკია. ვიცი, მართალი ხარ, მაგრამ არაფერი არ გამოგივა“, — ეუბნება ნიკოს გამოცდილი მეღვინე, ხანში შესული ვახტანგი, რომელიც მას მამად ეკუთვნის. ამ სიტყვებს თქმა და თანაც ისე შხამიანად თქმა განა ღვინოში წყლის გარევაზე ნაკლები დანაშაული ხარ? ვახტანგისნაირია ქარხანაში მომუშავე თითქმის მთელი უფროსი თაობა. ძველი მუშებიც მხლოდ განზე ბუზღუნით ქმაყოფილდებიან. ფილმის ავტორებს მათი მოქმედებაც უნიადაგოდ მიაჩნიათ, მათ ისეთ მდგომარეობაში აყენებენ, რომ ისინი მაყურებლის ალი თანაგრძნობას, არამედ დაცინვას იწვევენ. უკანასკნელი სცენა — ფოტოგრაფთან ამ დაცინვის კულმინაციური მომენტია.

მხატვრული ნაწარმოების ღირსებებს რეალური ყოფის ღრმა ცოდნა განსაზღვრავს. „გორგობისთვეში“ ამ ცოდნას ვერ შეიმჩნევთ. შეცდომაა მანკიერების ვერდით ვერ დაინახო ნათელი ძალა, რომელიც მანკიერებას უპირისპირდება, ებრძვის მას და ცხოვრება წინ მიაჭყავს. ეს არის ამ ფილმის მარცხის მიზეზი. ეს საშიშროება ჯერ კიდევ სცენარზე (ავტორი ა. ᲩᲘᲜᲩᲐᲫᲔ) მუშაობისას გამოითქვა, როდესაც კინოსტუდიის პარტიულმა ორგანიზაციამ ერთ-ერთ თავის თათბირზე სცენარზე მუშაობის სალეგიონი განიხილა, მაგრამ მაშინდელი შენიშვნები მხედველობაში არ იქნა მიღებული.

ფილმის არც მხატვრული მხარე იქცევს ყურადღებას. ოსტატურად გაკეთებული ზოგიერთი სცენა, მსახიობთა თამაში, ოპერატორის (ა. მაისურაძე) მოხაზონი მუშაობა საქმეს ვერ შველის. სუტია ფილმის დრამატურგიული ადგილობა დარღვეულია კომპოზიციური მთლიანობა, ეკსპოზიციური სცენები რთველისა ფოტოგრაფიულად წარმოდგენილი სტატიური ტიპები, აღმართზე ორეული მიმავალი ჩოჩიალა ურემი, უკან დათსებული, დაქანცული ვლეესები რომ მისდევენ, გაუპარსავი, გალეშილი მოქეიფეები, ველზე ოხრად მიტოვებული ნასუფრალი და სხვა ულტრანატურალისტური ხასიათის დეტალები, რაც მხლოდ უფერული ეგზოტიკის შთაბეჭდილებას ტოვებს. მოკლებულია ფილმთან დრამატურგიულ კავშირს, ქართული სულის დამახასიათებელ თვისებებს. ეს რეჟისორის მოდური გატაცებაა, მხლოდ ორიგინალობისათვის სჭირდება. გაუგებარია მონასტრის სიმბოლური ხასიათი დახაწყისსა და ფინალში, უიმედობისა და უპერსპექტივობის მოტივები ულერს მუსიკაში.

ეს ფილმი ერთხელ კიდევ ლაპარაკობს იმ მცდარ, მავნე გზაზე, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედი არასასურველი მიმართულებით მიჰყავს. ეს მიმართულება კი უცხოა საბჭოთა ხელოვნისათვის, იგი სოციალისტური რეალიზმის ყალბად გაგების, ყოფის ზერელე ასახვის, შიშველი ნატურალიზმის ჭაობისაკენ მიაქანებს შემოქმედს. ამის ნიმუშია ფილმი „გორგობისთვე“. მხატვრული ნაწარმოების ნაცვლად მივიღეთ რაღაც პასკვილის მაგვარი რამ. რომელსაც საერთო არა აქვს რა ჩვენი ცხოვრების ამსახველ ჭეშმარიტ ხელოვნებასთან და ამ ფილმის ავტორების მოქალაქეობრივ სინდისზე ცუდად ლაპარაკობს.

ᲙᲐᲠᲚᲝ ᲒᲝᲒᲝᲫᲔ,
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲕᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲛᲝᲜᲢᲔᲕᲘᲓᲔᲝ, 3 თებერვალი. (საკდესი). 60 ათასი აღფრთოვანებული მაყურებელი მიესალმა აქ თანამემამულეებს — ურუგვაის ნაკრების ფეხბურთელებს, რომლებმაც სამხრეთ ამერიკის 1967 წლის ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს. გადამწყვეტ მატჩში მათ ანგარიშით 1:0 დაანარცხეს არგენტინის ნაკრები გუნდი. ხუთ მატჩში ახალმა ჩემპიონებმა ოთხჯერ გაიმარჯვეს, ერთი კი — ჩილის ნაკრებთან ფრედ დამთავრეს. მეორე გადილზე გამოვიდა არგენტინის ნაკრები, მესამეზე — ჩილის გუნდი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონებს — ბრაზილიელებს ტურნირში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სულ 1916 წლიდან მოყოლებული, გაიმართა სამხრეთ ამერიკის 29 ჩემპიონატი. ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვეს არგენტინელებმა, რომლებმაც თორმეტჯერ აიღეს პირველი ადგილი. ურუგვაის ნაკრები გუნდი თერთმეტჯერ იყო კონტინენტის ჩემპიონი. ბრაზილიის ნაკრები — 3-ჯერ და ბოლივიის, პარაგვაისა და პერუს გუნდები — თითოჯერ.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

იმ ჯლებში, როდესაც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ეწყობა, ქალათბურთელები ზამთრის ტურნირით ქმაყოფილდებიან. ასეა წელსაც. უმაღლესი ლიგის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა თავი მოიყარეს კაუნასსა და სვერდლოვსკში. კაუნასში არიან ადგილები სსრ კავშირის ნაკრები გუნდები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატისათვის ეზადებიან.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქალთა გუნდი გამოდის კაუნასის ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲐ“ და „პოლიტექნიკოსის“ ვაჟთა გუნდები — სვერდლოვსკის ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ. 2 თებერვალს ამ ქალაქებში დაიწყო ტურნირის პირველი ეტაპი. მეორე ტური დაიწყება 23 თებერვალს და 2 მარტამდე გაგრძელდება.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

⊙ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ უახლოდება სკანდინავიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ქალთა წყვილებში ფინალში გავიდნენ **გ. ᲑᲐᲫᲔᲔᲕᲐ** და **შ. ᲒᲣᲓᲐᲕᲐ**. ᲙᲐᲪᲗᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ — **ვ. ᲙᲝᲠᲩᲜᲝᲘ